| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიჩინაძის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 24 ოქტომბერი

ამ ჟამად ევროპაში ერთი მეტად შესამჩნევი და საყურადღებო ამბავია. თითქმის ყველა დიდს სახელმწიფოებში ირყევა ის დედა-ბოძი, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს თვითოეული მართებლობა და რომელიც შეადგენს უმთავრესს ძალას მართებლობისას. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ევროპას დაუდგა ხანა სამინისტროების კრიზისისა, და ეს გარემოება ხომ დიდს ზედ-მოქმედებას იქონიებს თვითოეულის სახელმწიფოს შინაურ და გარეშე საქმეთა მსვლელობაზე. რასაკვირველია, თვითოეული მართებლობა, თვითოეული დაწინაურებული საზოგადოება უკვირდება ამ გარემოებას და მოუსვენარია იმის გამო, რომ არ იცის, ხვალ რა მოელის, ვის ჩაუვარდება ხელში სახელმწიფოს ბედ-იღბალი. ეს საკითხავი, უეჭველია, ყველასათვის, ვინც სახელმწიფო საქმეთა თვალ-ყურს ადევნებს, დიდად რთული და საძნიოა, რადგანაც იგი მოსვენებას არ აძლევს და მუდმივს მოლოდინში ამყოფებს ხოლმე; მართალია, ლოდინი რისამე ხანდისხან საამოა, თუ იცით, რომ ამ ლოდინს კარგი დასასრული ექმნება. თვით სამინისტრო, რომელსაც დღეს ჩაუვარდება ხოლმე მოთავეობა, იმის მოლოდინშია, რომ ხვალ თუ ზეგ უფლება ჩამოერთმევა და სამსახურიდგან გადააყენებენ; ყოველთვის შფოთავს, რადგანაც ადამიანისათვის საზოგადოდ საამოა რომელისამე საქმის სათავეში დგომა.

ამ შფოთის გამო თვითოეული სამინისტრო ხშირად ვერა მოქმედებს დალაგებულად და ვერ ახერხებს ყველა დასებს გაუძღვეს და ეს დასები დროებით მაინც შეათანხმოს მთავარ საქმეებში. კარგი მხარეცა აქვს ამ გვარ მდგომარეობას სამინისტროებისას. ეს მხარე ის არის, რომ მმართველები ყოველთვის ფრთხილად არიან და მომეტებულს ცდასა და გამჭრიახობას ჰხმარობენ იმისთვის, რომ სახელმწიფო საქმეები რიგიანად აწარმოვონ და ნამდვილს საჭიროებას სახელმწიფოსას და ერისას ჩაუკვირდნენ. აგრეთვე შესაძლოა, რომ თუ რომელიმე სამინისტრო უნიჭო და ზარმაცი გამოდგა, იმ წესის გამო, რომელიც ევროპაში არსებობს, ადვილად შესაძლებელია სხვა უფრო ნიჭიერის და შეგნებულის სამინისტროს შედგენა და საქმეში ჩაყენება. საქმეც ის არის, რომ საზოგადოების და ერის უმრავლესობის სურვილისამებრ უნდა ინიშნებოდეს სამინისტრო ევროპაში და საზოგადოებას და ერსაც თვალ-ყური უნდა ეჭიროს საკუთარს საქმეებზე და ყურადღება ათხოვოს საკუთარის თავ-გადასავალის გამგებლების მოქმედებას.

ამ ჟამად სამინისტრო ვერა სდგას მკვიდრად ინგლისში, სადაც სალისბერის ლამის ნიადაგი გამოეცალოს ფეხ-ქვეშეთიდგან. საფრანგეთშიაც ამ უკანასკნელ ხანებში ვერა სდგას სამინისტრო მაგრად, თუმცა იგი დიდის ბეჯითობით და გულ-მოდგინებით მოქმედობს. საფრანგეთს ამ ბოლო ხანებში მეტად მძიმე საქმეები შეეფეთა გზაზე და ამიტომ დიდი გამჭრიახობაა საჭირო, რომ ყველა ამ საქმეებს გასწვდეს სამინისტრო. ავსტრიასა და სერბიაშიაც შერყეულნი არიან სამინისტროები. იტალიაშიაც არ ემადლიერებიან თავიანთ სამინისტროს.

აქ ჩვენ ყურადღებას ვათხოვებთ საფრანგეთის, ინგლისის და სერბიის სამინისტროების მდგომარეობას, რადგანაც იგი ნათლად გვიხატავს ევროპის საქმეთა ვითარებას.

მოხერხებული და გამჭრიახი მოთავე გერმანიის პოლიტიკისა ძალიან ფხიზლად ეკიდება ევროპის საქმეებს და მომეტებულს ყურადღებას ათხოვებს გერმანიის ინტერესებს. ბისმარკი მოწადინებულია ხელი შეუშალოს სხვა სახელმწიფოთა სამინისტროებს, თუ რომ ისინი ეწინააღმდეგებიან გერმანიის პოლიტიკასა. მაგალითად, ბისმარკისათვის მაინცა-და-მაინც სასურველი არ არის რუვიეს სამინისტრო საფრანგეთში, რადგანაც ეს სამინისტრო ცოტად თუ ბევრად იბრძვის გერმანიის წინააღმდეგ. ბისმარკისათვის საჭიროა ისეთი სამინისტრო, რომელსაც შეუძლიან გერმანიას მოურიგდეს და მასთან კარგი, მშვიდობიანი განწყობილება დაიჭიროს. აი, სწორედ ამიტომაც გერმანიის მართებლობა და მწერლობა სცდილობს სახელი გაუტეხოს რუვიეს სამინისტროს. გერმანია სარგებლობს იმ გარემოებითა, რომელმაც ამ უკანასკნელს ხანებში ააშფოთა და შეაფიქრიანა საფრანგეთი. აგრეთვე არც სალისბერის სამინისტროა მაინცა-და-მაინც საამო ბისმარკისათვის, რადგანაც სალისბერი მომეტებულს ყურადღებას აქცევს ინგლისის გარეშე საქმეებს და ინტერესებს, რომლებიც სრულიადაც არ ეთანხმებიან გერმანიისას. სერბიაშიაც ეხლა ისეთი სამინისტროა, რომელიც არ მიიზიდება გერმანიისაკენ და, საფიქრებელია, რომ ბისმარკი ყოველს ღონისძიებას და ოსტატობას იხმარს იმისათვის, რომ სერბიის სამინისტროსაც გზაზედ გადაელობოს. საფიქრებელია, რომ ამ სამინისტროთა ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან დაიჭერს კავშირს გერმანია. ნათქვამიდგან ცხადია, რომ ევროპაში ამ მოკლეს ხანში ბევრი რამ ცვლილება უნდა მოხდეს, ისეთი ცვლილება, რომელიც დიდს ზედ-მოქმედებას იქონიებს საქმეთა მსვლელობაზე.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** რადგანაც ჩვენის გლეხ-კაცობის ჭირისა და ლხინის გასტუმრების დრო ეს შემოდგომაა, ამისათვის ეხლა დიდ-ძალი სოფლის ნაწარმოები მოაქვთ გლეხობას გასასყიდად ტფილისში. ყოველ დღე რამდენიმე ასი ურემი შემოდის, მაგრამ ყველა სოფლელები ერთ-ხმად უჩივიან გზაში მომავალ ჩაფრების მოქმედებას. ამას წინად მცხეთის ახლო რამდენიმე ურემი მიეტოვებინათ ნაცემ გლეხებს და გაქცეულიყვნენ. როცა მობრუნებულან, ათ ურმიდის ხრამში გადაცვივნული უნახავთ და ხარ-ურემი დამტვრეულ-დალეწილი.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ გრიქუროვის მიერ გამოცემული ქართული წიგნი: „უმთავრესი მოთხრობანი სამღვთო ისტორიიდგან“, საერო და სამრევლო სკოლებისათვის შედგენილი ბ-ნ ვ. იოსელიანისაგან. ფასი ცხრა შაურია. წიგნში მრავალი სურათებია ჩართული.

*** ამას წინად გვაცნობეს, რომ ცხინვალში რაღაც ავადმყოფობა მძვინვარებს, ბავშვებს მუსრი გაავლო და არც დიდრონებს შეჰხედა მოწყალის თვალითაო. ეხლა გვწერენ, რომ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ავადმყოფის პატრონებს უჭირავთ რეცეპტები და დარბიან მეაფთიაქეს საძებნელად, მაგრამ სად არის—ხანდისხან მთელი დღე რომ ურბინო სოფელს, ვერა ჰნახავ მეაფთიაქესა. გაგონილა და თქმულა განა აფთიაქის დაკეტა და თავის დანებება ამოდენის ხნითა! ღალოცვილს თუ არ უნდა თავისის თამამდებობის აღსრულება, თავი მაინც დაანებოს, რაზედ ისტუმრებს უწამლოდ ამოდენა ხალხს საიქიოსა! ბალახი ხომ არ არის ადამიანი, მეორედ ამოიხეთქოს მიწიდამ? ამოდენა მაზრაში უთანაშემწეოდაც ვერ აუვა ერთი კაცი, სულაც რომ ფეხი არ მოიცვალოს, და ამ დროს ისიც შინ არ არის ხოლმე.

*** თელავი: ბ-ნ ვანო როსტომაშვილმა დასწერა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობისა და მწერლების კრიტიკული განხილვა ორს ნაწილად და უნდა ცალკე წიგნად დაბეჭდინოს.

*** იქიდამვე: მამა მიხეილ ხელაშვილმა შეადგინა კარგა მოზდილი „საუ-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

„ძმანო ლეჩხუმელნო!“—ფასი მაინცა ჰქონდეს ყველა სიტყვას.—ახირებული აზრიც ეს არის.—წიგნები გიჟებისათვის იბეჭდება თუ ჭკვათამყოფელთათვის? — რას გვედავებიან, ნეტა ვიცოდეთ!

საღამ ლაილაში იყო სატახტო დაბა, სადაც სწარმოებდა ლეჩხუმის თავი-და-თავი გამგებლობა, სანამ ლაილაში მოთავსებულიყვნენ უმთავრესნი სასამართლონი, — მანამდისინ ლეჩხუმის ყოფა-ცხოვრება მიმდინარეობდა წყნარად, დინჯად და, როგორც ზოგნი ამბობენ, საბედნიეროდაც. მაგრამ, აგერ, ერთს დღეს მოიქრუშა ლაილაშის ცა და ისეთის სქელის ღრუბლით დაჰფარა ბრწყინვალე მზე, რომ, ერთი სხივი რა არის, ისიც-კი აღარსაიდამ ანათებდა ამა დაბის არე-მარესა. ამავე დროს, სამაგიეროდ, სოფელ ცაგერის მიდამო გამთბარი და განათებული იყო დიდებულის მზისაგან ისე, რომ ბერიკაცები თავის დღეში არ მოსწრებიან იმისთანა საკვირველს და საამურს სინათლეს. ამისთანა საკვირველი მოვლენა ჰხდებოდა ცაგერისა და ლაილაშის ცაზე – ხოლო ძირს, ამავე ადგილების მიწა-წყალზე, შეამცნიეს შემდეგი ამბავი: სამაზრო ავ-კარგიანობის დაწესებულებანი, თავიანთის ავლადიდებით, ქაღალდებით, ოქმებით და ვეჯით, მიეშურებოდნენ ლაილაშიდამ ცაგერისაკენ.

ის დღე იყო და ის დღე. ყველაფერმა იცვალა ფერი ლეჩხუმელთათვის. რაც აქამდის აღმა მიდიოდა, იმან დაღმა მოჰყვა მიმდინარეობა. აქამდის ლეჩხუმელნი შეხვედრაზე ერთმანერთს „გამარჯობას“ ვერ ასწრობდნენ, ეხლა გარეშე მისულსაც დაუძვირეს ჩვეულებრივი სალამი. გაიმართა საშინელი კამათობა ამ ორ ადგილს შუა და

ლაილაშის ელმა ხნული
ცაგერელმა და ლმას ჭოვარცხეს.

დამარცხებულ ლაილაშს სული უგუბდება, როდესაც ჰხედავს ცაგერის ბედნიერებასა, და ბედნიერი ცაგერი-კი, დამთვრალი თავის გამარჯვებით, ფეხებს უბრაგუნებს უმისოდაც წელში მოწყვეტილს ლაილაშს.

აბა რა საკვირველი უნდა იყოს, რომ ამ კამათობაში არც ერთს ლეჩხუმელს აღარ აგონდება სხვა საქმეები თავის ქვეყნისა—იმისთვის დღეს აღარც სკოლასა აქვს მიმზიდველობითი ძალა, აღარც სხვა რამ საკეთილო მისწრაფებას. ყველა იმის ფიქრშია, თუ როგორ გამოსდოს ფეხი თავის მოქიშპეს და როგორი სარმა უგდოს, რომ დასცეს ძირსა და ქვეშ მოიყოლოს.

ამისთანა ყვენჩილაობის დროს ამდგარან თითო-ოროლანი და ეუბნებიან—„ძმანო ლეჩხუმელნო, დაანებეთ თავი „ჩემიან-შენიანობას“, სირცხვილია, რომ საზოგადო საქმე ამოგვიდევია ქვის ქვეშა და ჩვენი „მე“-კი ზედ კერაზე წამოგვისკუპებია“.

არავის ვაძალებ—გინდა თუ არა, ჩემი აზრისა იყავ-მეთქი, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, ჰკვანის სიტყვის კაცი ყოფილა, ვისაც უთქვამს:

რაც არა ჯის მდეს შობას,
ნუ ყური ასკენკელა.

სადაც ასეთი ძლიერ ადგილი დაუჭერია ვიწრო თავ-მოყვარეობას, სადაც შენ-ჩემიანობის მეტი აღარა გაჩნია-რა თქვენს თანამოძმეთ, იქ გაჩუმებას არა შეედრება-რა...

**

ამიტომაც მე სრულიად არ ვეთანხმები, სხვათა შორის, ბ-ნ ქ. მ—საც, რომელსაც განუზრახავს ჩვენის „წერა-კითხვის საზოგადოების“ გაცხოველება სხვა-და-სხვა ღონის-ძიებით. სიკეთით აღჭურვილს ბ-ნს მ—სა ჰგონია—იქნება ხშირად რომ ვილაპარაკოთ ამ საზოგადოებაზე, ამითი მაინც გამოდნეს რამეო.

ჩვენ ში რომ სიტყვას ფასი ჰქონდეს, განა აქამდის სულ არ ჩავაგირავებდით და ნაღდ ფულად არ ვაქცევდით, როგორც ჩვენს მამულებს დავმართეთ საქმე! მაგრამ ძნელი ის არის, რომ ჩვენს სიტყვას არა აქვს არც ბაჟი, არც ფასი და ამიტომ რაც გინდათ და რამდენიც გინდათ, მოგვეთხოვეთ სიტყვები, არ დაგზარდებით ლაპარაკსა. რა გამოვიდა. სიტყვა ერთია და საქმე—სხვა. მათ ში დამაკავშირებელი ხიდი დიდი ხანია ჩაწყვეტილა. ვგრძნობთ ამასა და მაინც ვლაპარაკობთ, რადგან ენა გვაქვს. სხვა არაფერი საბუთი არა აქვს-რა ჩვენს სიტყვიერებას. მაშასადამე, ჩვენი ლაპარაკი არაფრობის ნიშანია და, გეცოდინებათ, ერთს ძალიან ბრძენ კაცს უთქვამს, რომ არა-რაიმესაგან არა-რაიმე წარმოსდინდებაო.

„წერა-კითხვის საზოგადოებას“ მრავალი წევრი ჰყავს, მაგრამ ღმერთმა ყველანი შეინახოს, თითო-ოროლას გარდა. თითქო იმიტომ გამხდარან წევრებად, რომ თითიც არ გაანძრიოთო. მაგრამ აბა ახლა ლაპარაკში ნახეთ: გეგონებათ, სწორედ ტყავს გაიძრობენ და ქვეყნის დიდებას შესწირავენო. როცა-კი მოჰხვდებიან, ჩოხის კალთებს ახევენ ერთმანერთს—მოდით, ვილაპარაკოთ წერა-კითხვის აღორძინების, გავრცელების, შემოკლების, შეთხელების და სხვების თაობაზეო. მაშინვე მოჰხსნიან პირსა და შენი მტერი—ჰაი, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ, გავმართოთ სკოლებიო, იძახიან ერთნი. არაო, გააწყვეტინებენ „თანამოაზრენი“, კი ნუ გავმართავთ, დავკეტოთ ისინი, რომელნიცა გვაქვს, და უფრო მედგრად გავრცელდება სწავლა ხალხშიაო.

მაღალ ფრაზებსა ისვრიან—
გვ ჰგონიან გულ-თა-სრულ-ობს;
ვერ ამამცებს ჯიბანსა
სიტყვებს გამოთქმულ-ბა.

**

კუნო კალენდარი“, რომელიც ოც-დარვა თაბახისაგან შესდგება. ეს გულდადებითი და ბეჯითი ნაშრომი ძვირფასს საკალენდარო მასალას შეიცავს და სასურველია, რომ მალე დაიბეჭდოს.

*** გაზ „Нов. Обоз.“-ეს სიტყვით, 9 ოქტომბერს ჩუღურეთში, პანასეის ქუჩაზე, დაიკარგა 14 წლის საკვირველი ლამაზი ქალი ვ., ქუთაისიდამ ჩამოსული. ეს ქალი სცხოვრებდა ხსენებულ ქუჩაზე უშვილო ქვრივს კნეინა ტ-ს სახლში, როგორც მის მიერ შვილად აყვანილი. ქალი დაიკარგა საღამოს 10 საათზე. იმავ დღეს შეატყობინეს პოლიციას, მაგრამ აქამდის კვალს ვერ მიაგნეს.

*** იმავ გაზეთში ვკითხულობთ: ალექსანდრიის სამეურნეო სასწავლებლის სტუდენტებმა, გიორგი ჯინორიძემ და მიხეილ კალინინმა სთხოვეს ტფილისის ქალაქის თავსა შემწეობა 400 მანათისა, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობამ გადასდო შეუძლებელ მოსწავლეთა დასახმარებლად. ქალაქის თავმა გარდასცა ეს თხოვნა ქალაქის სამოსწავლო კომიტეტს, რომელმაც 22 ოქტომბერს გადასწყვიტა—მიეცეს მთხოვნელებს ათ-ათი თუმანიო.

*** რუსულ გაზეთებსა სწერენ, რომ ოქტომბრის ნახევრიდგან მრავალი მთიული ხალხი მიდის კავკასიიდამ აზიის ოსმალეთში.

*** ყარსის ოლქში განუწყვეტლივ მოდიან ახალ-შენა რუსების სახლობანი. გაზ. „Кавказъ“-ს აცნობებენ, რომ 15 რუსი პენზის გუბერნიიდამ ჩამოვიდა ყარსში და აქედამ გაემგზავრნენ კაგიზმანისაკენ დასასახლებლადაო.

*** 26 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს კრებაზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ ქალაქმა თავის ხარჯით იყიდოს ოთხი ამცრელი ყვავილისა, ტფილისის გუბერნატორის წინადადებით.

2) ტფილისის სამხედრო უფროსის ქაღალდი გამგეობისადმი მასზედ, რომ გამგეობამ უარ-ჰყო დადგენილება „გუბერნსკი პრისუტსტვიისა“ შესახებ სახლის დაქირავებისა მიმავალ-მომავალ ჯარებისა და კრებულისათვის.

3) მოხსენება სამოსწავლო კომიტეტისა მასზედ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტს ბახუტოვს დაენიშნოს ლორის-მელიქოვის სტიპენდია.

4) თხოვნა ელისაბედ საყვარელიძისა მასზედ, რომ შესცვალონ დაფასების გადასახადი და დაუბრუნონ გამორთმეული ფული.

5) მოხსენება გამგეობისა და პროექტი საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წესდებისა.

6) აზრი ხმ. ნიკოლაძისა მასზედ, რომ გადაისინჯოს საბჭოს დადგენილება 4 მაისისა 1887 წ. შესახებ საურთიერთო დაზღვევისა.

7) თხოვნა მარიამ ტოროშინისა მასზედ, რომ გაიმიჯნოს და ქვით დაიფინოს პანასეის ქუჩა.

8) თხოვნა ვექილოვების ვექილისა, კორჩიბაშევისა, და საჩივარი გამგეობაზე, რომელმაც უარი უთხრა შენობის პროექტის დამტკიცებაზე.

9) თხოვნა ნ. სტეფანოვისა და დ. კირაკოზოვისა მასზედ, რომ შემოიღობონ სახლი კრუზენშტერნის ქუჩაზე.

10) აზრი ნიკოლაძისა შესახებ ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავისა.

11) ოქმები საქალაქო გამსესხებელ კასის რევიზიისა ივლისის და აგვისტოსი.

12) წინადადება ხმ. კალოუბნგელისა მასზედ, რომ აღკრძალული იყოს მიხეილის ქუჩაზე გაყიდვა კუბოსი და საფლავის ქვებისა.

13) თხოვნა ქვრივის ჭრელაშვილისა მასზედ, რომ ნაწილი გარდასახადისა გადატანილი იქმნას დამხმარებელ თანხაზე.

14) პასუხი პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა მაწანწალა ძაღლების გაწყვეტასა და პირუტყვთა თავ-შესაფარის გამართვაზე.

15) ხმ. მ. თამამშოვის აზრი მასზედ, რომ დაინიშნოს კომისსია და გაისინჯოს დაფასების დარჩენილი გადასახადი.

16) აზრი ხმ. თავ. კ. ბებუთოვისა მასზედ, რომ დოლებზე დაკეტილ იქმნას ტოტალიზატორი.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

მარტყოფი, 19 ღვინობისთვეს. მარტყოფში ისე რიგად გახშირებულია ქურდობა და ყაჩაღობა, რომ ყოველ ღამე გვესმის წუწუნი, ჩივილი და ტირილი ავაზაკებისაგან დაჩაგრულის ხალხისა. ზოგი ჩივის, ქათმები დამპარესო; ზოგი ხარების დაკარგვას სტირის, ზოგი ცხენებისას და ზოგი ღორისასა და ზოგი რისას; ზოგი კიდევ საბძლის დაწვასა წუწუნებს. ყური შეჩვევია ამ გვარს ამბებს და გამგონთ არავითარი ავაზაკობა არ გვიკვირს, თითქო უბრალო, ჩვეულებრივი საქციელიაო. დიდი თუ პატარა ზეპირად ჩამოგითვლის აქაურ ავაზაკებს, მაგრამ შიშით ხმას ვერ იღებს, რადგანაც იმავ ღამეს ან საქონელი დააკლდება, ან საბძელი დაეწვება. ამას წინად მოსამართლეს ი. ს. მუა-დღისას საბძელი დასწვეს; მამასახლისს ოცამდე თხა მოჰპარეს; საღამოს ექვს საათიდგან მოყოლებული თავს გარედ ვეღარ გამოჰყოფს შინაურისა და თაქლედ ავაზაკების შიშით. ამას წინად, 13 ღვინობისთვეს, მმინარე ვაჟკაცს, ბესო (მგელა) ჩიტრეკაშვილს, მკურბალობლივ დასცეს თოფი და მოჰკლეს. შორს იყო ამ უბედურის მგელას ვაჟკაცობის სახელი გავარდნილი და ვინც-კი გაიგო, ყველა სწუხს და სტირის. მგელას მოკვლა მართლადაც სამწუხარო არის, რადგან მარტო მგელა იყო მარტყოფის საქონლის დამფარველი თაქლედ ყაჩაღებისაგან. განსვენებულმა ისე დაიბრიყვა თურმე თაქლედი ყაჩაღები, რომ როცა-კი მგელა უდგა მანდორში ძროხებს, ისინი ვერა ჰბედავდნენ მარტყოფისაკენ ავის აზრით წამოსვლას; ბევრჯელ თურმე დასცემია იმას ბინას ათი-თხუთმეტი თათარი ძროხების წასასხმელად, მაგრამ ყოველთვის დაიფრენდა და გააბნევდა. რადგანაც მარტყოფელი ქურდები უმეგობრდებიან თაქლედ ქურდებს, ამიტომ, როგორც ამბობენ, მგელა მოკლა იმათის შეყიდვით თავისმა მოძმემ, რომელიც მთავრობისაგან ყაჩაღობაში შენიშნულია და რომელსაც ვინ იცის რამდენმა „პრიგოვორმა“ ვერაავნო-რა. თურმე მკვლელმა მმინარესა ჰკრა მარჯვენა ფერდში და ტყვიას მარცხენა იღლიაში გამოუვლია. ასე და ამ გვარად უდროვოდ გამოესალმა ამ წუთისოფელს 27 წლის მდევივით ვაჟკაცი. დიდი თუ პატარა მარტყოფელი, ნორიოელი და ბევრნი სხვანიც, ვისაც-კი გაუგონია გამარჯვებულის მოწინდავეს მგელას ჩიტრეკაშვილის კაი კაცობის სახელი, საუკუნო ხსენებას და კურთხევას უთვლიან. ესლა ჩვენი ბრალი, ამბობენ მარტყოფელები, მგელა რომ აღარა გვყავს, თაქლედები თავზე წამოგვასხდებიანო.

—

წლევანდელმა მოსავალმა მარტყოფელები დააკმაყოფილა? პურიცა და ღვინოც სამყოფი მოუვიდათ. რასაკვირველია, ღვინოს კარგსაც და უფრო ბლომადაც გამოსწურავდნენ, რომ საქაჯავი სცოდნოდათ. წარმოიდგინეთ, ამოდენა ვენახების პატრონებს საქაჯავი ჭაჭისა არც-კი სცოდნიათ. ქართლში, სადაც შედარებით უფრო ცოტაა ვენახები, თითქმის ყველა სოფელში ათი-ოცი საქაჯავი მუშაობს და აქ-კი, 800 კომლიან სოფელში, ერთი საქაჯავიც არ არის. წელსა და მუდამ წელსაც მოდიოდნენ სართიჭალიდამ ნემცები და მიჰქონდათ დიდ-დიდი გაუწურავი ჭაჭით სავსე კასრები; თითო კასრს ჭაჭას, რომლიდამაც გამოიწურებოდა 4—5 თუნგი ტკბილი მაინც, გამოუცდელ გლეხებისაგან ჰყიდულობდნენ ორ შაურად.

ამ ენკენისთვეს ერთს ქართლელს, რომელიც აქა ცხოვრობს, გაუკეთებია საქაჯავი და ერთს კვირაში აუღია ქირა 23 ჩაფი ტკბილი. ამის მიხედვით მომავალ ენკენისთვისათვის სხვანიც ბევრნი იკეთებენ საქაჯავებს და თვითონვე გამოქაჯავენ ჭაჭას და სხვას აღარ დაანებებენ.

—

მეტი არ იქნება შემდეგი გარემოებაც გაცნობო მკითხველებს. 8 ენკენისთვეს ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა რამდენიმე კაცი, რომლებიც დღეს კარგად არიან. ამათ მორჩენას აქაურები მიაწერენ ელიასბედ ჩიტრეკაშვილის წამლობასა. მაინცა-და-მაინც საჭიროა, რომ ამ დაკბენილებს ყურადღება ათხოვონ.

მამაპიროსელი

## წერილი რედაქციის მიმართ

### რიცხვი ქართველ მოსწავლეთა სასწავლებლებში.

დღეს პროფესორმა მილლერმა გადმომცა ამ მოკლე ხანში გამოსული ანგარიში 1886 წ. კავკასიის ოლქის მზრუნველისა. ჩემი ყურადღება მიიქცია, რასაკვირველია, რიცხვმა და წარმატებამ მოსწავლეთა ქართველთაგან. ფრიად სამწუხარო და ჩასაფიქრებელი დასკვნა წარმომიდგინა სტატისტიკურმა ცნობებმა. აღმოჩნდა, რომ არამც თუ რუსები, სომხებიც, თათრებიც (თითქმის მთიულებიც) გვჯობნიან ჩვენ როგორც მოსწავლეთა რაოდენობით, ისე წარმატებითაც. თვით ციფრები ალაპარაკოთ და ამიტომაც მოვიყვან რიცხვს ქართველთა მოსწავლეთა და შევადარებ ჩვენს ახლო მეზობლებს—სომხებს.

| | რიცხვი | | წარმატება | |
|---|---|---|---|---|
| | ქართ. | სომხ. | ქართ. | სომხ. |
| გიმნაზიები | 16,6% | 17,1% | 71% | 72% |
| რეალ. სასწ. | 2,8% | 2,9% | 65% | 73% |
| ინსტიტუტი | 32,3% | 14,1% | 94% | 100% |
| სამასწ. სემინ. | 17,4% | 18,3% | 79% | 81% |
| სამოქ. სასწ. | 28,2% | 30,8% | 65% | 66% |
| დასაწყ. სასწ. | 43,8% | 29,4 | ცნობა არ არის | ცნობა არ არის |
| კერძო სასწავ. | 31,2% | 34,3% | | |
| საქალ. სასწ. | 13,1% | 17% | 70% | 74% |

გარდა ამისა ყველა სასწავლებლებშიაც სომხები ჩვენზე მეტია, თუმცა რაოდენობით ქართველნი აღემატებით: ქართველნი 1.020.000, სომხები-კი 749.000, ანუ პროცენტით—ჩვენ 16,7% სომხები 12,3%.

სამწუხაროა კიდევ ის, რომ რიცხვი ქართველთ მოსწავლეთა კლებულობს საშუალო სასწავლებლებში:

| | 1885 წ. | 1886 წ. |
|---|---|---|
| გიმნაზიები | 17,1% | 16,6% |
| რეალ. სასწ. | 2,9% | 2,8% |

მივაქცევ ყურადღებას ქართულის ენის მდგომარეობაზედ. დედა-ენას სწავლობენ გიმნაზიებში 71,%, ამათგანი მხოლოდ 61% ქართველნი არიან.

რეალურ სასწ. 100%.

საქალ. გიმნაზ. 74%, ამათგან 54% ქართველთაგანია.

რა არის მიზეზი ჩვენის ჩამორჩომისა, გარდაწყვეტით არ შეგვიძლიან ვსთქვათ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ხელ-მოკლეობა, სიღარიბე პირველი და უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია გიმნაზიაში შეუსვლელობისა და კურსის გაუთავებლობისა. საყურადღებო ცნობაა მოყვანილი შე-

---

და აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ყოველ მაღალ განზრახულებისათვის ჩვენ სხვა სამზადისი არა გვაქვს-რა, გარდა ცარიელის სიტყვებისა, რომელსაც ასრე უაზროდ, უბაქოდ და ასრე მუქთად ვხარჯავთ; იმ დროს, როცა ვერც ერთს პატიოსან საქმეს ვერ დავხედებით ხოლმე ვერც ჯეროვანის სულის სიმხნეთი, ვერც გულის უმანკო სისწორითა და ნამდვილის სიყვარულით; როდესაც არ ვიცით, რა წამალი დავადოთ კაცის ადამიანურს საჭიროებას, — სწორედ ამ დროს ჩვენში გაისმის მაღალი ხმა პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა, რომელიც საშინლადა სწუხს მხეცების უკიდურესს ყოფა-ცხოვრებაზე. ეს ერთის მხრით გულის სახმიეროა და მეორეს მხრით სასაცილო. გულის სახმიეროა იმიტომ-რომ კაცი თვალებს ვერ დაჰხუჭავს და უნდა დაინახოს, რომ მართლა ძალიან დიდს ტანჯვაში არიან ?კენებური პირუტყვები— ძროხა, ცხვარი, ცხენი, ქათამი, ბატი, ინდოური, კატა, ძაღლი, მეტადრე მაწანწალა ძაღლი! მოდი და ამისთანა ტანჯვის შემაცქერალი, პირუტყვთა მფარველი საზოგადოება ნუ აღამაღლებს თავის ხმასა და ნუ გაიწევს ფარ-ხმალს საცოდავთა მწუხარების შესამსუბუქებლად!..

მაგრამ ჩვენს გარემოებაში ძალა უნებურად სიცილი მოგივათ, როდესაც ეს მაღალი ხმა პირუტყვთა მფარველებისა მოაღწევს თქვენს ყურებამდე. კაცებისათვის ვერა მოგვიხერხებია-რა, რომ შიმშილით, ავადმყოფობით, უსწავლელობით არ იდგნენ ისეთს დაბალს კიბეზე, რომელზედაცა დგანან და რომელსაც ეხლა შეჰკუწვლიან საშინელის სიმრავლით, — და გვეუბნებიან—პირუტყვებისათვის იზრუნე და ინაღვლეო. ეგ კიდევ არაფერი. ახლა ეითომც მფარველებს სხვაფრივ ბევრი რამ სიკეთე უჩვენებიათ პირუტყვებისათვინაო, ამდგარან და იძახიან—უნდა თავ-საფარი გავუმართოთ იმ საცოდოვებსაო. აბა, ახირებული აზრიც ეს არის, აი! მერე, ამ აზრის განსახორციელებლად თავიანთ მოძმეთ ამხილებენ მრავალის მაგალითებით, ამხნევებენ გულის გამგმირ დარიგებით. ყოველ მხრივ დაგხედებათ მათი ქადაგება:

კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
მაღალი სიტყვა: „სრული ერთობა“,
და სიყვარულით ავსილის გულით
დაჩაგრულთ პირუტყვთ მოუსმარება,

კიდევაც ვიტყვით, რომ ძალიან კარგია პირუტყვთა დახმარება, მათის მძიმე ულლის შემსუბუქება; კიდეც ვურჩევთ ყველას, რომ გულ-კეთილობა გამოიჩინონ ამ საქმეში, მაგრამ ადამიანი, რაც უნდა იყოს, მაინც გვირჩევნია სხვა სულიერსა და უთუოდ ჯერ იმისი მდგომარეობა უნდა გამოკეთდეს და მერე ვისზედაც გინდათ, იმათზე ინაღვლეთ... ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოვო, ნათქვამია.

**

თუმცა ამოდენად არა, მაგრამ მაინც სასაცილოა ის გარემოება, რომ ტფილისის სამკურნალოში, რომელიც ასე მდიდრულად არის მოწყობილი, ავადმყოფებისათვის არა აქვთ საკითხავი წიგნები, არა, უკაცრავად, „არა აქვთ“-კი არა, აქვთ, ხოლო იმათთვის-კი არა, ვისთვისაც კაცის გონება მისწდომია წიგნების შედგენას, არამედ იმათთვის, ვინც განსხვავებას ვერ იპოვნის წიგნსა და შემწვარ ხოხობ შორის და, მაშასადამე, ვერც გაიგებს წიგნსა...

საქმე იმაში გახლავთ, რომ მიხეილის სამკურნალოში წიგნები ჰქონიათ მხოლოდ გიჟებისათვის. ჰკვათა-მყოფელი-კი იქ თვალითაც ვერა ჰნახავს წიგნსა.

არ იცის კაცმა, რა იფიქროს. იქნება სამკურნალოში დარწმუნებულები არიან, რომ წიგნები გიჟებმა უნდა იკითხონ, რადგან იქ ჭკვიანი რამეები სწერიაო, და ჭკვათა-მყოფელი ისეც სრულს ჭკუაზეა და რაღა საჭიროა მისთვის მეტი ბარგიო... მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნები მარტო გიჟებისათვის იბეჭდება ქვეყანაზე და სხვა არავისათვის.

სხვაფრივ ძნელად გასაგებია ის გარემოება, რომ რამდენიმე ათასი თუმანი ფული იხარჯება წელიწადში ამ სამკურნალოზე და ჭკვათა-მყოფელ ავადმყოფებისათვის წიგნები-კი დავიწყებიათ, მაშინ-როდესაც მათთვის ერთი უკეთესს წამალთაგანი არის კარგ წიგნებში გულის გაყოლება. სამკურნალოში ავადმყოფს ნათესავი არ ეყოლება გვერდითა და პატრონი. იქ ისეთს რა საქმეს მოჰკიდებს ხელსა, რომ გაერთოს და დაივიწყოს თავისი ფიზიკური ტანჯვა. რა ხაზი და ლარი უნდა, რომ ამისთანა დროს, თუ კითხვა არა აქვს აკრძალული, ავადმყოფისათვის წიგნი სწორედ მისწრებაა...

შეგხვდება ამისთანა უგვანო ამბავი და ძალა-უნებურად უნდა მოჰყვე საანბანო ჭეშმარიტებათა ჩამოთვლასა, რომ ერთჯელ ერთი ერთია, რომ პერანგი ტანზე უნდა ჩაიცვას კაცმა, ჰაერი ჩაყლაპოს და სხვანი.

თუ კი იქამდის მივიდა სამკურნალო, რომ შეიძინა წიგნები, რაღა გიჟებისათვის შეიძინა, როდესაც ისინი ზედაც არ შეჰხედავენ!

უჭკუოდ კაცის სიკეთე,
ვაი, რა ცარიელია!

**

ეჰ, უჭკუოდ ჩადენილი არც სიკეთე ვარგა და არც სიავკაცე. ესეც ერთი იმ სიბრძნეთაგანია, რომელიც ყველას აკერია პირზე, მაგრამ ყველა კი ვერ გამოიყენებს ხოლმე, როცა საჭიროა. მაგალითები თქვენც ბევრი გეცოდინებათ და მე მხოლოდ ერთს კიდევ დაგისახელებთ ჩვენის მწერლობიდამა. გარდა თითო-ოროლა პატარ-პატარა წიგნაკებისა, რომელიც იბეჭდება ქართულს ენაზე, დღეს ჩვენი ავი და კარგი არის ერთად-ერთი გაზეთი, რომელსაც აი ეხლა თქვენა ჰკითხულობთ, ჩემო მკითხველებო.

ჩვენ ძალიან კარგადა ვგრძნობთ,

სახებ მოსწავლეთა, რომელთაც დაანებეს სწავლას თავი კურსის გათავებამდე: მომეტებული ნაწილი გამორიცხულთა ხვდება ქუთაისის გიმნაზიასა—18,3%. საყურადღებოა, რომ მომეტებული ნაწილი გამოსულა ქუთაისის გიმნაზიიდამ „შინაურ გარემოებათა გამო“ (58,8%). შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ «შინაურ გარემოებათა შორის» უპირველესი ადგილი უჭირავს სილარიბეს. რამ უნდა უშველოს ამ საქმეს? ჩვენის აზრით, გავაფართოვოთ და გავაძლიეროთ საქველ-მოქმედო საზოგადოებანი, ვიქონიოთ ჩვენი გიმნაზია, სადაც მიიღებოდნენ პანსიონში ღარიბნი და შეუძლებელნი. სახელმწიფო გიმნაზიებში რიცხვი პანსიონებთა იყო შემდეგი: გიმნაზიებში 19%, რეალურ სასწავლ. 1,5%, ინსტიტუტში 45%, სამოსწავლო სემინარიებში 21%. როგორც ხედავთ, მხოლოდ ინსტიტუტში ყოფილა თითქმის ნახევარი მოსწავლეთა სახელმწიფო ხარჯზედ და ამიტომაც წარმატება მათ ეტყობათ: 94% გაუთავებია კურსი და გადასულა შემდეგ კლასში. შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ წარმატება აიწევს ჩვენში მხოლოდ მაშინ, როცა მოსწავლეთ ექმნებათ რიგიანი ბინა, სასწავლო ნივთები და საკითხავი წიგნები. ჩვენის აზრით, სააზნაურო სასწავლებლების გიმნაზიად გადაკეთება უსაჭიროესი მოთხოვნილებაა. რიცხვი ქართველთა კლებულობს, მათი წარმატება უმცირესია; ქუთაისის გიმნაზია ერთის მხრით და ინსტიტუტი მეორეს მხრით გვიჩვენებს, რომ ამის მიზეზი არის ჩვენი სილარიბე და არა უნიჭოება. თუ საქველ-მოქმედო საზოგადოებანი (წერა-კითხვისა, სააზნაურო სასწავლებელში მოსწავლეთა დამხმარებელი და სხვანი) გაუწვდენენ ხელს ყველა ღარიბ მოსწავლეს, თუ ჩვენს გიმნაზიას ვიქონიებთ, სახელმწიფო სასწავლებლის უფლებით,—რაიცა აწ გაადვილებულია,—მაშინ იმედი გაგვიძლიერდება, რომ რიცხვი და წარმატება ქართველთა-კი არ იკლებს, არამედ იმატებს, გაძლიერდება. საჭიროა მოღვაწეობა ერთის და ორის კაცისა-კი არა,—თვითოეული ჩვენგანი ზნეობით მოვალეა ჩაეწეროს წევრად საქველ-მოქმედო საზოგადოებაში. წლიწადში 5—10 მან. არავის დააქცევს, ამ ფულით-კი შევვძლებ მომავალს თაობას გზა გავუხსნათ სასწავლებელში, მივცეთ განათლება, ვაქციოთ პატიოსან მშრომელად და მამულის ერთგულ შვილად. სწავლის სურვილი რომ ძლიერია ჩვენში, ამას ამტკიცებს რიცხვი მოყვანილი დასაწყის სასწავლებლების შესახებ. აქ რიცხვი ქართველთა აღემატება სომხებს: ქართველნი 19,5%, სომხები 17,6%. შეგვიძლიან განმეორებით დავძინოთ, რომ თავი და თავი მიზეზი ქართველთა რაოდენობის ნაკლებულობისა გიმნაზიებში არის სილარიბე.

აუცილებლად საჭიროა, გაზეთმა „ივერიამ“ მრავალჯერ მიჰმართოს ქართველს საზოგადოებას: დროა, შეიკრიბოს გაწერილი სასკოლო ფული თავად-აზნაურთა შორის; დროა, სიტყვა საქმედ ვაქციოთ და საშვილი-შვილოდ ავაგოთ უძვირფასესი ძეგლი—„ქართული გიმნაზია“.

ააა. ...ნ...

## წვრილი ამბები

— სტამბოლიდგან აუწყებენ საზღვარგარეთის გაზეთებს, რომ ოსმალეთი ამ ჟამად ავსებით სავსეა ავაზაკებითაო. მეტადრე ავაზაკები ძალიანა მძვინვარებენ მაკედონიასა, სმირნების გუბერნიასა, იზმიდის ახლო-მახლო და სომხების კურდისტანში.

— როგორც ეხლა გამოუკვლევიათ, ადრეც იცოდნენ თურმე, რომ ზეთი აღელვებულს ზღვის ტალღებს ამშვიდებს. ვიდაც ცეზონ პრაისი „Times“-ში მოუთხრობს მკითხველებს, რომ ჯერ კიდევ ანგლო-საკსების დროს, როცა გემი გაგზავნეს მეფე ოსვაის საცოლოს მოსაყვანად, ეპისკოპოსმა აიდანმა მისცა გემის უფროსს ნაკურთხი ზეთი და უთხრა: როცა შუა ზღვაში გასვალ, ქარი ამოვარდება, ზღვა ღელვას დაიწყებს და გემს საარულს დაუშლის. ნუ დაივიწყებ, ეს ზეთი გადაასხი ზღვაში, მაშინვე ქარიც ჩავარდება, ზღვაც დამშვიდდება და მშვიდობიანად დაბრუნდები შენს სამშობლოში. ყველაფერი ეპისკოპოსის სიტყვისამებრ მოხდა თურმე.

— ნემსი მე-XV საუკუნეში შემოიღეს. ამ დრომდე ტანისამოსის დასამაგრებლად ღარიბნი ეკალსა და მდიდრები-კი ვერცხლისა და ოქროს მახათებსა ხმარობდნენ. ამბობენ, რომ ნემსი პარველად პარიჟას მემართულე ტურანჟემ შემოიღოვო. თუმცა ნემსა შემოიღეს, მაინც დიდხანს ძვირი მოსაპოვებელი იყო და მხოლოდ მდიდრები ხმარობდნენ. როცა ლიუდოვიკ მე-XI ქალი გათხოვდა, მზითევში სხვათა შორის რამდენიმე ნემსი წაიღო. საფრანგეთიდგან ინგლისში ნემსი ანნა ბოლეინმა მიიტანა თურმე.

— ამ რამდენისამე დღის წინად ვენის სანოვაგეთა დუქნებმა გამოაცხადეს თურმე, რომ ჩვენს დუქნებში იყიდება ბისმარკის თევზიო. თევზს დიდ-ძალი ხალხი დაეხვია თურმე და ძალიანაც ყიდულობდნენ, რადგან გემრიელიაო.

— თუმცა პარიჟში საშინელი უბედურება მოხდა, თეატრი დაიწვა, მაგრამ როგორც ეტყობა ამ უბედურებამ პარიჟის მმართველობა ჭკუაზედ ვერ მოიყვანა და ვერ გაათვრთხილა. განთქმული ფრანცუსკე სარსე გაზ. „République Française“-ში შემდეგს ამბავს გვიამბობს და თან გვარწმუნებს, რომ ეს ამბავი ნამდვილი ამბავიაო. ფოვვლის თეატრის სადგურიდგან ელექტრონით ზარია გაყვანილი ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომში. ერთის პარიჟის თეატრის დირექტორს უნდოდა ამას წინად დარწმუნებულიყო, ცეცხლის მქრობელი რაზმი ფხიზლად იქცევა თუ არაო, და ამ აზრით ზარებს ჩამოჰკრა და საათი ხელში ელოდდა თურმე ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის-კაცთა მოსვლას. გაიარა თითქმის ოც-და-ათმა წუთმა, ვიდრე მოვიდოდნენ ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის-კაცნი. დირექტორი გამოვიდა თურმე და უთხრა რაზმის უფროსს: ძალიან მადლობელი გარ ჩემის თავისა, რომ გცადეთ, ეხლა ვიცი, რა შველასა და დახმარებასაც უნდა მოველოდე თქვენგანაო. ეს თეატრის დირექტორი სამართალში მისცესთ და 120 მანათი ჯარიმა გადაუხდევინებიათ, რადგან ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებია და დაუფეთიანებია ცეცხლის მქრობელი რაზმიო.

— ამას წინად ნიუ-იორკში მოქალაქე ჯორჯ ფრენსის ტრენს მოუწვევია განთქმული ირლანდიელი მედინამიტე ოდონოვან როსსი და ამ მედინამიტეს წარმოუთქვამს სიტყვა იმის გამო, რომ სასამართლომ არ უნდა დასაჯოს ის შვიდი ანარხისტი, რომელთაც სიკვდილი გადუწყვიტა ჩიკაგოშიო. კრების გათავებისთანავე, რომელზედაც ეს სიტყვა წარმოითქვა, ტრენი წავიდა ჩიკაგოში 7 ოქტომბერს და განიზრახა, რომ ხვალიდგანვე ყოველ დღიურს გაზეთს გამოსცემ და ამ გაზეთს სახელად „Daily Psycho-Anarchist“-ი ერქმევაო. გაზეთი იმ დრომდე გამოვა, ვიდრე ანარხისტებს დასჯიან. რადგან ტრენი ძალიან მდიდარი და შეძლებული კაცია, ამიტომ ადვილად შეასრულებს თავის განზრახვას. დასასჯელთა ცოლ-შვილისსასარგებლოდ ტრენს განუზრახავს სადამო გამართოს. ჩიკაგოში ტრენს უნდა რამდენიმე კრება გამართოს და ხალხის მისაზიდავად რამდენიმე საშუალება მოუგონია. მაგალითებრ, დეპეშებს უგზავნის ბევრს გაზეთებს, რომ სიტყვას ვიტყვი სცენაზედ, რომელზედაც შვიდი კუბო იდგმება და კუბოს გარშემო კიდევ დასასჯელთა შვილები იდგებიან შავებში ჩაცმულნიო. თავის სიტყვის დასასაბუთებლად ტრენს განუზრახავს, რომ საზოგადოებას შვიდი თოკი აჩვენოს, რომელიც ადრევე შეუძენია ნიუ-იორკში.

## საგრამმატიკო ესკიზი

### ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო

(ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ პროფესორს, ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს)

(შემდეგი *)

§ 11) ესრედ წოდებულ ორ-ხმოვან ასოთაგან ჩვენს მართლ-წერაში თითქმის მარტო ჰ-ღა ჰფვეთქავს, დანარჩენი ასოები სრულიად აღარ იხმარება და გადავიდა სხვა ასოებზე. განვიხილოთ მოკლედ ოთხი ჯგუფი სიტყვებისა, სადაც იხმარება, ან იხმარებოდა «ჰ»:

ა) პირველ ჯგუფს შეადგენენ სიტყვები, რომელნიც უწინ იწყობოდნენ „ჰ“-თი, მაგალითად: ჰუმი, ჰასაკი, ჰინა, ჰაზრი... ამ გვარ სიტყვების მომეტებულმა ნაწილმა დღეს დაჰკარგა «ჰ» და იწერება ასე: უმი, ასაკი, ინა, აზრი; თუმცა მოიპოვება ორიოდე იმ გვარი სიტყვებიც, საცა დღესაცა ხმარობენ „ჰ“-ეს: ჰაერი, ჰავა და ხევები...

ბ) მკვიდრი მფლობელობა „ჰ“-ეს უჭირავს უფრო ზმნათა შორის.

ზმნაში ამა ბგერათა წინ: თ, დ, ტ, ც, წ, ძ, ჩ, ჯ, ჭ ხან გამოიტოვება „ჰ“, ხან-კი გადადის „ს“-ზე, „შ“-ზე. შეიძლება ამ შემთხვევაში ან სრულიად არაფერი არ იწეროს, ან იწეროს ისევ „ს“, „შ“, თუ გვსურს შევამოკლოთ «ჰ»-ეს ხმარება:

ჰ-თრთის—თრთის—სთრთის
ჰ-დრეკს—დრეკს—სდრეკს
ჰ-ტყორცნა—ტყორცნა—სტყორცნა
ჰ-ჩხვლეტს—ჩხვლეტს—სჩხვლეტს
ჰ-ცვლის—ცვლის—სცვლის.

ძველ მწერლობაში შეხვდებით ამ გვარ ფორმებს: ჰ-ს-წერს, ჰ-ს-წვიმს, ჰ-ს-ჩივის...

მაშასადამე, თუ ეს მართლ-წერაა და არა შეცდომილება ძველის მწერლებისა, პირველ პირის ფორმები აქედგან იქნება: ვ-ჰ-ს-წერ, ვ-ჰ-ს-ჩივი. რომ მოვაშოროთ წინიდამ მარცვალი „ვჰ“, უნდა დარჩეს სიტყვის ძირი. ახლა გავსინჯოთ, „ს“ ეკუთვნის სიტყვის ძირს თუ არა? „სწერა“, «სჩივილი», როგორც სახელ-ზმნანი, არ არსებობენ, არ ითქმის—ი-სწერს, ისჩივლებს; ესწერა, ესჩივლა. მაშ საიდგან გაჩნდა «ს», თუ არ „ჰ“-ეს „ს“-ზე გადასვლით? შემდეგ, თუ „ჰ“ გადავიდა „ს“-ზე, მაშ წინ „ჰ“ მეორედ საიდანღა უჩნდება? ჩემის აზრით, ამ გვარი წერა სრულიად უსაბუთო უნდა იყვეს, მით უფრო, რომ ხანდისხან „ჰ“ გადადის „ლ“-ზე, „ხ“-ზე, „შ“-ზე, მაშ რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ითქვას ასეც: ჰ-ხ-ქრის, ჰ-ლ-გონებს, ჰ-შ-ჩივის?

და რომ „ჰ“ გადადის „ს“-ზე, „შ“-ზე—ამას ამტკიცებს მრავალი მაგალითი:

ტაჰტი—ტასტი—ტაშტი
კუჰტი—კუსტი—კუშტი
მუჰტი—მუსტი—მუშტი...
ვჰ-ჩივი—ვ-ს-ჩივი—ვ-შ-ჩივი
ჰ-ჩივი—ს-ჩივი—შ-ჩივი.

*) იხ. „ივერია“ № 214, 215, 216, 217, 219 220.

რომ ბევრი ნაკლულევანება გვაქვს, და სადა-კი მიგვიწვდება ხელი, ვცდილობთ თავიდამ ავიცდინოთ, ამიტომრომ ამაზედ არის დამყარებული არა მარტო საკუთრივ ჩვენი წარმატება, არამედ იმათიც, ვინც ჩვენს ნაწერებსა კითხულობს. მაგრამ ამ წარმატებისათვის მარტო მეცადინეობა არა კმარა, აქ საჭიროა სხვების დახმარებაც. მიზეზიც ეს არის, რომ ჩვენ მუდამ გულის ძგერით ვუსმენთ მკითხველებს და გვინდა შევიტყოთ მათი აზრი ჩვენ მიერ აღძრულ საგნებზე.

საუბედუროდ, ისეთი მკითხველნი, რომელნიც ჩვენის ქვეყნის ავა და კარგი,—გაჩუმებულნი არიან და ამის გამო ფართოდ ვერ შევვიმოწმებია ჩვენი შეხედულობანი სხვისა აზრთან შედარებითა. ნაცვლად ასეთის ძვირფასის მკითხველებისა ჩვენ ხელთა გვრჩება ის ახალფერა, ერთგვარი ჯურის მკითხველები, რომელთაც არავითარი საქმე არა აქვთ აღიარებულსა და გამოთქმულს აზრთან და რომელთაც მეტად გაღვიძებული აქვთ წადილი, რომ მათ იცნობდნენ ჩვენის ცხოვრების დედაბოძებად.

უაზრო კაცი, რაც უნდა ახმახის აგებულებისა იყოს, მარტო ამ აგებულებისათვის დედა-ბოძად ვერ გადაექცევა ცხოვრებასა. ეს თითონაც კარგად იციან, მაგრამ არც იმის უვიცნი არიან, რომ გარს ახვევიათ ბრბო უსინათლოებისა, რომელთაც ყველაფერს ისე აჩვენებ, როგორც გინდა, თუ-კი ერთი ხმა აამაღლე და ისეთის კილოთი მოჰრთე ლაპარაკი, როგორიც მოსწონთ ამ უსინათლოებსა...

უსინათლოს ყოველთვისა სტანჯავს ის გარემოება, რომ თვალ-ხილული, ასე თუ ისე, ჰხედავს გარ-შემორტყმულ ქვეყნიერებასა. უაზრო კაცს იქამდის-კი მიუწვდება ჭკუა, რომ გაიგოს ეს ტანჯვა უსინათლოსი და მეტი-კი ვეღარა. ან ამაზე მომეტებული ჭკუა რად უნდა უაზროსა—ამითაც სახელს მოიხვეჭს დედა-ბოძისასა და ხომ იცით, რომ

სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა.

ვინ დაგიდევს, თუ ეს სახელი წუთიერია და იქნება ჭკვა-მოკლემ უფრო დიდხანს იცოცხლოს, ვიდრე იმისმა სახელმა.

ჰო და რაკი უსინათლოთა ტანჯვა ესმის უაზრო კაცსა, ჩამოჰკრავს მათის გულის სიმებზე:

— აბა ეხლა თქვენ, ხრმანი, რამდენად მაღლა სდგევხართ ამ ჭყეტიაებზე! მართალია, თითო რაღაცასა ჰხედვენ, მაგრამ რო არ ესმით, რად უნდათ დანახვა. აი, თქვენ უნდა ჰხედავდეთ, ჩემნო ბრძნო, მაგრამ სად არის სამართალი!..

ამისთანა ტკბილ ლაპარაკის მოსასმენლად არა ერთხელა და არა ორჯელ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სოფლად გინდათ თუ ქალაქად, მოდიოდნენ და მოდიან

ტუით ნადირნი, წყალშით თევზნი,
მთით ქვა-მპრომნი, ცით ფრინველნი.

და ასეთი ერცელი აუდიტორია, რა თქმა უნდა, უფრო ახალისებდა ჩვენს დედა-ბოძებს. ისინიც არა ჰზოგავდნენ „სიტყვებსა თავზიანსა“ მსმენელთადმი და უკადრისა მათდამი, ვისაც გულ-წრფელად სტკივა და სტკიოდა მოძმეთა ტკივილი. ჩვენი დედაბოძნი, რომელთა რაოდენობა ლეგიონია, მივიდნენ იქამდის, რომ თუ გაზეთში ასო-ნაკლები სიტყვა შეჰხვდებოდათ, იმის გულისათვისაც-კი მზად იყვნენ გაეკრათ ავტორნი სამარცხვინო ბოძზე და თითით საჩვენებლად გაეხადნათ:

— შეხედეთ, მაგ წყეულ-შეჩვენებულებს, წაგვიპილწეს ენა, თავზე ცა დაგვანგრიეს, ცეცხლზე წყალი დაგვისხეს. მეტი-ღა შეიძლება, რომ ამ სიტყვის მაგიერ იმ სიტყვასა სწერენ! როდემდის უნდა იფუფქებოდეს ჩვენი დამწვარი გული!

დედა-ბოძის მსმენელნიც აღელვდებოდნენ და

ისმენდიან, გაჰკვირდიან—
რა იტირის, აჰტირდიან.

უაზრო კაცი ამითი პოულობდა და დღესაცა პოულობს წუთიერს სახელს, მაგრამ ვის რა მოჰხედება ამ სახელითა! ენა ვერას შეიმატებს მათგანა და მსმენელნი ხომ ვერა და ვერა. ეგ იმის გამო, რომ ჯერ არა ყოფილა თურმე, რომ მჩხავანა კატას თავგვი დაეჭიროს; და თუ რომ ეს მჩხავანაკატაობა არ იყოს, თუ ამ ფერის მკითხველებს მართლა შეეძლოთ რამე, ხელს ვინ უშლით, წინ რომელნი ელობებიან—აი, ეს ბურთი და ეს მოედანი,—მობძანდნენ და უკეთ შეასრულონ საქმე. ჩვენ ორსავე მუხლის კვერებზე დავეცემით მათ წინაშე, ქედს მოვიდრეკთ და თავზე დავისხამთ, ოღონდ ამითი ეშველოს ჩვენს განვითარებასა, მშობლიურ მწერლობასა და თუ არა და, იმ დროს, როდესაც ქართველი კაცი ფეხს ეხლა ძლივს იდგამს გონიერებისა და აზროვნობის მოედანზე და როდესაც ამის გამო ჩვენი მწიგნობრობის საქმე ჯერ ისევ აკვანშია ჩაკრული და ლოლიაობასა თხოულობს,—ამ დროს გამოსულან ჩვენნი დედა-ბოძნი და ერთს ყოფას აწევენ წერტილისა და მძიმის გამო, იფურთხებიან ასო ნაკლებობაზე, თითქო საქმე წერტილსა და მძიმეზე ეკიდოს, თითქო ასოს მეტ-ნაკლებობით ქვეყანა კიდეც აშენდებოდეს და კიდეც დაიქცეოდეს...

ეს ლაპარაკი იმიტომ-კი არ ჩამოვაგდე, რომ უაზრო კაცებს ჭკუა ვასწავლო. იმათ რაღას ასწავლი! მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ასეთის საფუძვლის პატრონები ბრძანდებიან ისინი, ვინც ჰია-ლუასავით დაცოცავენ მიწის პირ-პირ და თავიანთის ჩხავილით ყოველს წმინდა საქმეს ლაქასა სდებენ. ვისაც უნდა, აჰყვეს იმათ ფეხის ხმასა, და ჩვენ-კი ვემსახურებით ჩვენს მწერლობას ისე, როგორც გვაგონებს ჩვენი ცოდნა და გამოცდილება.

ხანი

მაშ ძველი მწერლები უნდა სწერდნენ:

ვ-ჰ-ს-ჩივი=ვჰჰჩივი
ჰ-ს-ჩივი=ჰჰჩივი.

გ) ამა ბგერათა წინ: ბ, პ, ფ, გ, კ, ქ, ღ, ხ, ყ ხან „ჰ“-ედ იხმარება და ხან-კი ვარდება სრულიად.

დ) მეოთხე ჯგუფს ეკუთვნიან ზმნები, სადაც „ჰ“ შემდეგ ბგერათა წინ: ლ, რ, ნ, ზ, ს, შ, ჟ,—არა რომელსამე ბგერაზე არ იცვლება; ამ შემთხვევაში ყველაზე ადვილად შეიძლება იმის გამოტოვება: ვლოცულობ, ვრბივარ, ვნანობ, ვზრუნავ, ვსრუტავ, ვსინჯავ (ვსინჯავ—თუმცა ამბობენ და სწერენ აგრეთვე ვსშინჯავ—ვჰ-სინჯავ).

სამის უკანასკნელ ჯგუფის შესახებ საჭიროა შემდეგი შენიშვნა: ზმნების პირველ პირის ფორმებს როცა მოუძღვით „მ“ რომელისამე ხმოვანის ბგერით, ანუ „ჰ“-თი, მაშინ დანარჩენ პირებს მოუძღვით შემდეგი ბგერანი—მეორე პირისაგან პირველ და მესამე პირთან მიმართულებით:

მა(მაწერ)—მი(მიწერ)
მე(მეწერე)—მჰ(მჰწერ)
ა(აწერ)—(უ)(უწერ)
ე(ეწერე)—ჰ(ჰწერ). პირველ,

მესამე პირისაგან პირველ, მეორე და მესამე პირებთან მიმართულებით:

მა(მაწერს)—მი(მიწერს)
მე(მეწერა)—მჰ(მჰწერს)
გა(გაწერს)—გი(გიწერს)
გე(გეწერა)—გჰ(გჰწერს)
ა(აწერს(—უ-უწერს)
ე(ეწერა)—ჰ(ჰწერს)

აქ ცხადადა სჩანს, რომ „გ“ არ არის „ჰ“-დამ წარმომდგარი. მაშასადამე, ამ გვარ მაგალითებში „გ“-ის გამოტოვება შეუძლებელია. ამასთან მესამე პირის ფორმას რომ მოვარდეს ჰ, მაშინ მეორე პირის ფორმასთან დამახინჯებულიეით გამოვა და ზოგან ორ-აზროვნობასაც ჰბადებს. მაგალითად:

მწერა—მცემა—მწამს—მბანს
გწერა—გცემა—გწამს—გბანს
წერა(სახელ-ზმნა) ცემა
წამს(წამი) ბანს(ბანი) და სხვები...

ამ შემთხვევაში ისევ სჯობია იხმარებოდეს ან ის ბგერა, რომელზედაც გადადის „ჰ“, ან დარჩეს თითონ „ჰ“.

§ 12) ქართულ ზმნას მრავლობით რიცხვის გამომხატველი ნიშნები აქვს შემდეგი: თ, გვ, ენ-ეს, იან, ნ.

„თ“ მრავლობითის რიცხვის ნიშანია და სამივე პირის კუთვნილებას შეადგენს: ვჰ-წერ-თ, ჰ-წერ-თ, უ-წერ-ია-თ.

„გვ“ მრავლობით რიცხვში პირველის პირის ნიშანია.

«ენ-ეს» არიან მარცვალნი ფრიად შესანიშნავნი მით, რომ ერთსა და იმავე დროს პირისა, რიცხვისა და დროს გამომხატველნი არიან: ჰწერ-ენ (praesens), წერ-ეს (perfectum).

„იან“—იმავე მნიშვნელობით იხმარება, რა მნიშვნელობითაც „ენ“ მხოლოდ მაშინ, როცა ზმნას მხოლობით რიცხვში აქვს დაბოლოება (ის, ა): არ-ის—არიან, კეთდებ-ა—კეთდებ-იან... ამაზე უკვე გვქონდა ზევით ბაასი. როცა იხმარება ერთი რომელიმე მრავლობით რიცხვის მაპიროვნებელთაგანი ნიშანი, მაშინ ნამდვილი ნიშანი მრავლობით რიცხვისა «თ» ბოლოს სრულიად უსაჭირო იქმნება. მაგალითად ვამბობთ: გვ-ი-წერ-ია, გვ-ე-წერ-ოს, გვ-ე-წერ-ა და არასოდეს—გვ-ი-წერ-ია-თ, გვ-ე-წერ-ა-თ, გვ-ე-წერ-ოს-თ, როგორც ყველგან ხმარობს ჩვენი პატივცემული პროფესორი ცაგარელი თავის კრიტიკულ განხილვაში³). იგივე პროფესორი ხმარობს ამ გვარ ფორმასაც—გვ-ი-წერ-ი-ეს-თ (?).

დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენმა ზმნამ არ იცის ამ გვარი ფორმები, მე წარმოუდგენ მკითხველს რამდენსამე სტრიქონს „ვეფხვის-ტყაოსნიდამ“, რომელიც უნდა ჩაითვლებოდეს ყველაზე უწმინდეს წყაროდ ჩვენის ენის შესასწავლებლად.

აწვევა დაგვხოც, ვერა ჰგავ,
ვერათ ვერ მოგეხმარებით,
ვისგან ნაკრავი გვინახავნ
მხეცნი ვერ წალმა წარებით.
. . . . . . . . . . . .
არ დასცთომია ერთიცა,
რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მიწითა
დასვრილი დაგვიხოცია.

რუსთაველის მიერ ნახმარის სიტყვებიდამ—„გვინახავენ“, „დაგვიხოცია“—ვხედავთ, რომ როცა ზმნის ფორმას წინ უზის პირველ პირის ნიშანი „გვ“, მაშინ მრავლობითის რიცხვის ნიშანი «თ» ბოლოში აღარ არის საჭირო, რადგანაც იგივე მარცვალი „გვ“, როგორც ორ-მაპიროვნებელ ფუნქციისაგან შემდგარი, თავად გამოხატავს სიმრავლეს:

გვ-ი-ნახავ-ს=მ-ი-ნახავ-ს+
გ-ი-ნახავ-ს (გმ—გვ)
გვ-ი-წერ-ი-ეს=მ-ი-წერ-ი-ეს+
გ-ი-წერ-ი-ეს
გვ-ი-ნახავ-ნ(ს)=მ-ი-ნახავ-ს+გ-ი-ნახავს და სხვები.

გარდა, რასაკვირველია, იმ შემთხვევისა, როცა მიმართულება უნდა გამოიხატოს მრავლობით რიცხვის მეორე პირისაგან მრავლობით რიცხვის პირველ პირისადმი.

გვ-ი-წერ-თ (თქვენ—ჩვენ)
გვ-ი-წერ (შენ—ჩვენ)
გვ-ა-ნდობ-თ—გვ-ა-ნდობ...

აქ „თ“ ამრავლებს არა პირველ პირს, არამედ მეორეს, რომელსაც ამ შემთხვევაში არა აქვს ნიშანი.

აგრეთვე ვიტყვით:

გ-ი-წერ-ი-ეს—გ-ი-წერ-ი-ეს-თ
(უ)-წერ-ი-ეს—(უ)-წერ-ი-ეს-თ
მ-ი-წერ-ი-ეს—გვ-ი-წერ-ი-ეს
გ-ი-წერ-ია—გ-ი-წერ-ია-თ
(უ)-წერ-ია—(უ)-წერ-ია-თ
მ-ი-წერ-ია—გვ-ი-წერ-ია.

§ 13 წერის დროს აუცილებლად გვჭირია სწორე ხმარება სახელ-ზმნისა, რომ ან აზრი არ შეგვეცვალოს, ან უაზრობა არ გამოგვივიდეს. ჩვენი პატივცემული პედაგოგი გოგებაშვილი, თავის ჩინებულ საგრამმატიკო შენიშვნებში, ამბობს შემდეგს: „აჩქარება გრამმატიკის შედგენაში, ხელად გამოცხება მისი მხოლოდ მაშინ იქნება....“

ცხობა—ვა-ცხობ—გა-მო-ცხობა
(წა)-ცხება—ვა-ცხებ—გა-მო-ცხება.

პირველი აზრი ჰსურდა გამოესახა ავტორს, თუ მეორე?

მეორე ადგილას იგივე პედაგოგი ამბობს: „ყოველ-გვარი ფილოსოფია ითხოვს კარგს ცოდნას, გონების გახსნილებას (თუ მარხულობას?) და საგანში ღრმად ჩაკვირვებას“.

გახსნილება და გახსნა ერთი და იგივე არ არის, ეს აშკარაა! ავტორს ვერ ეხერხებოდა ეთქვა „გონების გახსნას“, რადგანაც დროცა და ხმაც (jnfinitivus passivi) იცვლება ამით, და დახწერა „გონების გახსნილებას“.

ჩემის აზრით, რადგანაც ამ სახელ-ზმნას სრულიად სხვა მნიშვნელობა ეძლევა, ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა ავტორს ეხმარა მდგომარებითის ხმის მიმღეობა, რაიც სრულიად დააკმაყოფილებდა. სახელდობრ, რომ ეთქვა ასე: „ყოველ-გვარი ფილოსოფია ითხოვს კარგს ცოდნას, გახსნილ გონებას და საგანში ღრმად ჩაკვირვებას».

კიდევ: „გახსოვდეთ მოქმედებითი ბრუნვის მქონე ადგილები“ (?).

ხსომება-დახსომება—(და ვერსად ვერ ვიპოვე გახსომება)
ხსენება—გახსენება — (აგრეთვე ვერ ვიპოვე დახსენება).

Epgo, დაიხსომეთ და არა გაიხსომეთ.
გაიხსენეთ და არა დაიხსენეთ.

„ივერიის“ ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ამ გვარად სახელ-ზმნის არევას, მაგალითად:

134-ში ერთ ადგილას შეჰხვდებით „სიამოვნობდენ“, თითქოს სახელ-ზმნა იყვეს «სიამოვნობა“ და არა სიამოვნება“, აგრეთვე რომელიღაც ნომერში შემხდა ზმნა „არევნა“—„არევა“-ს მაგიერად, აქედან იქნება „ვ-რევ“ და არა „ვ-რევნ“... მე აქ არ გამოვუდგები მაგალითების გამოკრეფას, რადგანაც ჩამოთვლილი მაგალითებიც საკმარისად ამტკიცებენ ნათქვამს; მხოლოდ შევნიშნავ კიდევ მეორე გვარ შეცდომას ჩვენს მართლ-წერაში. მე ვამბობ «ნ»-ის ჩამატებაზე ნამყო უსრულის ნიშნისა და დამაბოლოებელ მარცვლის შუა. მაგალითად, ჩვენი ავტორები ხმარობენ ასეთს დაბოლოებას ზმნებში—დნენ: სწერდნენ, ჰრაცხდნენ და სხვანი. ამ შემთხვევაში „ნ“-ის ჩამატება სრულიად უადგილოა და არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, მით უფრო, რომ მნიშვნელობას არას აძლევს სიტყვას და მაშასადამე ყოველი უმნიშვნელო ბგერა სიტყვებიდამ უნდა განდევნილ იყვეს.

კოტე დოდაშვილი

³) О граматич. лит. гр. яз. проф. А. Цагарели—ст. 96 (спряженіе глаг. წერა).

# დეპეშა

23 ოქტომბერი

ბერლინი. დღევანდელ სამეურნეო რჩევის სხდომას ლაპარაკი ჰქონდათ ხორბალზე ბაჟის მომატების შესახებ. დადგენილ იქმნა, რომ ბაჟი ამ ნაირად მოემატოს: ჭვავსა და პურის ხორბალზე—6 მარკა, შვრიასა და ქერზე—3, ბურღულზე—2, ბრინჯზე—5, სიმინდზე—3, ალაო ხორბალზე—6, ხორცეულს შანარზე (ექსტრაქტი)—40, სხვა-და-სხვა წვრილმან ფაბრიკატებზე—12, ოქროქარგარინზე—20, ქონზე—10, ცხენებზე—50, კვიცებზე, რომლებიც ერთის წლისაზე მეტი იქმნებიან, და პონის ჯიშის ცხენებზე—20 და ღორებზე—10.

დუბლინი. მართებლობამ გამოძიება დანიშნა იმათ შესახებ, რომელნიც კიმე დაესწრნენ უკანასკნელ კრებაზე ვუდფორტში, სადაც დაუწვავთ ირლანდიის ვიცე-კოროლის პროკლამაცია. ამ კრებაზე სხვათა შორის დასწრებიან წევრნი პარლამენტისა—რაუღლენტსი, გილი, შიგი და მდივანი დუბლინის ლორდ-მერისა მერუედენჩი.

24 ოქტომბერი

სოფია. აღმოსავლეთ რუმელიაში ძლიერდება ავაზაკობა. ესკიზაგრის ახლო მოხდა შეტაკება ჟანდარმებისა და ავაზაკთა ბრბოს შორის. უკანასკნელნი რიცხვით 15 კაცი იყო, მათში 8 დაიჭირეს და სხვები-კი გაიქცნენ.

საერო კრებამ გადასწყვიტა მოიჭრას ნიკოლის ფული სამი მილლიონი ფრანკი.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ოქტომბ.

ფასები:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 93 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგებიანი ბილეთი | — » | — » | 245³/₄ |
| — მეორისა | — » | — » | 102 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა | — » | 99 | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | 99¹/₂ | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | 83³/₄ | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

25 დღე კვირა. წმ. მოწ. მარკიანესი, მარტირესი და ანასტასიასი. სომეხ. პოვნა წმ. ჯვარისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა. არბაინი—მე-40 დღე იმამთა ჰასანისი და ჰუსეინის გარდაცვალებისა (შიიტ.).—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 4—49. მთვარე 21 დღისაა.

26 დღე ორშაბათი. დიდ. მოწ. დიმიტრისა. კათოლ. ღვთის-მეტყველება ყველა წმ. ანგელოზებისა. სომეხ. წმ. ანასტასი მღვდლისა, ვართასი, თეოდორიტესი, იმის ორის შვილისა და ყველა მათთან დახოცილთა. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—39, ჩადის 4—48. მთვარე 22 დღისაა.

27 დღე სამშაბათი. წმ. ნესტორისა. კათოლ. ღვთის-მსახურება ყველა წმ. მოციქულებისა. სომეხ. მოწ. იპირიტიანთ, წმ. სევერინა, ბაბილა და სხ. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—40, ჩადის 4—47. მთვარე 23 დღისაა.

28 დღე ოთხშაბათი. წმ. ტერენტისა და დიდის მოწ. ნეოფიტე ურბნელისა. კათოლ. წმ. სვიმონისა და მოციქ. იუდასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—42, ჩადის 4—46. მთვარე 24 დღისაა.

29 დღე ხუთშაბათი. ქალწ.-მოწ. სტრიასი. სომეხ. წმ. იოანე ოქროპირისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 4—45. მთვარე 25 დღისაა.

30 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ზინობისა, დისა ზინობიასი და მოციქ. მარკოსისა. კათოლ. ღვთის-მსახურება იესო ქრისტეს ტანჯვასა და წამებაზედ. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ომარ-ხანს განზრახვა ჰქონდა, რომ თავს დასცემოდა საქართველოს, გადავიდა ალაზანს 20,000 ლეკით და ტოპ-ყარაღაჯთან დაიბანაკა, 1800 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44. მთვარე 26 დღისაა.

31 დღე შაბათი. წმ. მოციქ. სტაქისი, ლირს. სპირიდონისა და ნიკოდიმესი. სომეხ. ყოველთა წმიდათა, ძველთა და ახალთა. მუს. მე-26 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გენერალ-მაიორნი ლაზარევი და გულიაკოვი წავიდნენ ორის ბატალიონით სიღნაღსა და იქ დახვდათ 10,000 ქართველნი, ომარ-ხანთან საბრძოლველად განმზადებულნი, 1800 წ.—ტფილისში დაარსდა ამიერ-კავკასიის სამუსიკო საზოგადოების სასწავლებელი, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—41. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—45. მთვარე 27 დღისაა.


## კერძო განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 29-ს ოქტომბერს, შუა-დღისას, თორმეტ საათზე, მისისავე თანადასწრებით უნდა მოხდეს ვაჭრობა და იჯარით გაიცეს შიოევისეული ქარვასლა, რომელიც ეხლა ეკუთვნის ქალაქს და მდებარეობს აბანოების შესავალთან. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის ცხრა საათიდგან ორ საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა. (3—1)

იხყიდება
თოშის-წამალი
წვრილ-წვრილად და ნარდადაც

იაგორ გინკაჩის საწყობში. ფასის შეტყობა შეიძლება გოლოვინის პროსპექტზე, მე-17 №-ი, სასტუმრო „როსიას“ გვერდზედ, იარაღის გამკეთებელ ოსტატ კურცთან. (4—1)

ძმ. ტარნოპოლის
შპალერის საწყობში

ერევნის მეიდანზედ, ბროდსკის მაღაზიას ახლო, დანიშნულია საბოლოოდ ვაჭრობა შპალერისა, ბორდიურებისა და სხვა-და-სხვა ბაგეტებისა. (2—1)

მიიღება ყოველ გვარ განცხადებათა ბეჭდვა ახლად შედგენილს «საქართველოს კალენდარში» მომავალის 1888 წლისათვის.

ფასი განცხადებათა ძლიერ იაფია; მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ნ. ზუბალოვის სახლებში. (6—3)


Доз. цен. Тиф. 24 октября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. Г. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე